ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ № 49/51

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ 04 " მაისი 2016 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აძვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ *სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობისქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლასა (მდებარე მელიქიშვილის ქ.№2)* (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ *შ.პ.ს"კლინტექ" (ქ.თბილისი ჩიტაძის 6)* (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ბიუჯეტის** დაფინანსების ფარგლებში, სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლისათვის **პირადი ჰიგიენის პროდუქტების** შესყიდვა

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **383.00 (სამას ოთხმოცდასამი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს:

№	დასახელება	CPV	ზომის ერთეული	რაოდ.	ფასი	ჯამი
1	ქაღალდის ხელსახოცი Z ტიპის	33764000	ცალი	24	2.00	48.00
2	ტუალეტის ქაღალდი	33761000	ცალი	120	2.50	300.00
3	თხევადი საპონი ტროპიკი 30კგ sabun georgia	33711900	ცალი	1	35.00	35.00
	ჯამი					383.00

4.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. `მიმწოდებელი" ვალდებულია:

5.1.1. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

5.1.2. უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ხარისხი და ვარგისიანობა (დროულობა).

5.1.3. ქარხნული წუნის (შემსყიდველისთვის მიუღებელი ხარისხის) შემთხვევაში შეცვალოს ნივთი საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით).

5.1.4 საკუთარი ხაჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს მოწოდებული საქონლის საგარანტიო მომსახურება მოწოდებიდან 1(ერთი) წლის განმავლობაში.

5.2. "მიმწოდებელი" უფლებამოსილა:

5.2.1. მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3. "შემსყიდველი" ვალდებულია:

5.3.1.უზრუნველყოს მიმწოდებლისთვის თანხის გადახდა მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30(ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.3.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები,რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

5.4. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

5.4.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

5.4.2.აწარმოოს ხელშეკრულების შესრულების პირობების მონიტორინგი.

5.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.6. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
5.7. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.
6.2. საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქ. №2
6.3 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.
6.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს 51-ე საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს იასონ დავითურს და დირექტორს მანანა თურქაძეს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს 51-ე საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი იასონ დავითური

8. მიწოდებული საქონლის (გასაწევი მომსახურების) ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისთვის ვარგისიწინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა (გამოელენილი ხარვეზის გამოსწორება).

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, საქონლის მიწოდების შემდგომ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების და/ან ანგარიშფაქტურის საფუძველზე.
9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი)საბანკო დღის განმავლობაში:
9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება <u>უნაღდო</u> (ნაღდი). გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, საგალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით.
15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.
16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2(ორ) ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლა ს/კ 203850699 ქ. თბილისი, 0179 მელიქიშვილის ქ. №2 ს.ს. საქართველოს ლიბერთი ბანკის ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: **LBRTGE22** ა/ა **GE74LB0121128401106000** ☎2923-525; 2993-522; 2920-528.	შ.პ.ს "კლინტექ" ს/კ 204442451 *ქ. თბილისი ჩიტაძის №6* სს. "კორსტანდარტბანკი" ბანკისკოდი:**KSBGGE22** **ა/ა IBAN: GE 61 KS 000 000 000 004 3951** ☎ 292-22-02
სკოლის დირექტორი: /მანანა თურქაძე/ ბ.ა	დირექტორი: /ვლადიმერ ჭელიძე/ ბ.ა

ქ. თბილისი 04.05. 2016 წ

მიღება–ჩაბარების აქტი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი მანანა თურქაძე და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი იასონ დავითური ხოლო მეორეს მხრივ, შ.პ.ს "კლინტექ" ვადგენთ მიღება–ჩაბარების აქტს მასზედ, რომ შ.პ.ს „კლინტექ"–ის მიერ მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისთვის გადაცემული იქნა პირადი ჰიგიენის პროდუქტები:

№	დასახელება	CPV	ზომის ერთეული	რაოდ.	ფასი	ჯამი
1	ქაღალდის ხელსახოცი Z ტიპის	33764000	ცალი	24	2.00	48.00
2	ტუალეტის ქაღალდი	33761000	ცალი	120	2.50	300.00
3	თხევადი საპონი ტროპიკი 30კგ sabun georgia	33711900	ცალი	1	35.00	35.00
	ჯამი					383.00

№ 49/51 ხელშეკრულების №4 პუნქტით გათვალისწინებული, საერთო ღირებულებით 383.00 (სამას ოთხმოცდასამი) ლარი.

რაზედაც ხელს ვაწერთ:

შ.პ.ს „კლინტექ"
დირექტორი /ვლადიმერ ჭელიძე/

მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის
კოორდინატორი: /იასონ დავითური/

სკოლის დირექტორი: /მანანა თურქაძე/